ISSN 2346-7584

გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე

ARCHAEOLOGICAL REVIEW OF GORI MUSEUM

№ 1, 2013

პროფ. სერგი მაკალათიას სახელობის
გორის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

Prof. Sergi Makalatia
Gori
Historical-Ethnographical Museum

გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე

Archaeological Review of Gori Museum

I

(ეძღვნება აკად. სერგი მაკალათიას
დაბადებიდან 120 წლის იუბილეს
Dedicated to the 120th Birth Anniversary
of Acad. Sergi Makaltia)

თბილისი
Tbilisi

2013

სამხრეთ კავკასიის უძველესი საბეჭდავები

ნინო შანშაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
Nino Shanshashvili
Georgian National Muzeum
Otar Lortkipanidze Archaeological Centre
E-mail: nino_shanshashvili@yahoo.com

ზვიად შერაზადიშვილი
პროფ. სერგი მაკალათიას სახელობის
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Zviad Sherazadishvili
Prof. Sergi Makalatia Gori Historical-Ethnographical Museum
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: zviad_sherazadishvili@hotmail.com

საბეჭდავები ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე ძვ. წ. VII ათასწლეულიდან ჩნდება. უძველესი საბეჭდავები ქვისა და თიხისაგან მზადდებოდა. ძველ აღმოსავლეთში საბეჭდავებს მრავალფუნქციური დანიშნულება გააჩნდა. ხშირად, ისინი პრესტიჟის, სტატუსის, ან პიროვნების სოციალური როლის ემბლემას წარმოადგენდნენ. ზოგჯერ ინდივიდუალური, თუ ჯგუფური იდენტობის მაჩვენებელი იყო. ადმინისტრაციული აპარატის წარმოქმნის შემდეგ, საბეჭდავი წარმოადგენდა ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც, სველ თიხაზე გამოსახულების დატანით, ილუქებოდა საცავი, ან რაიმე ტვირთი. მისი გამოყენებით სხვადასხვა პროდუქციასაც უკეთდებოდა სავაჭრო ნიშანი (იარლიყი). ყველა შემთხვევაში საბეჭდავი მაგიურ და დამცავ ამულეტს წარმოადგენდა. სირია-მესოპოტამიაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ტექსტებსა და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საბეჭდავებს, ისევე როგორც მათზე მოცემულ გამოსახულებებს და მათ ანაბეჭდებს ძლიერი საკრალური და სოციალური მნიშვნელობა ენიჭებოდათ [Cool Root, 2005a: 6].

სამხრეთ კავკასიაში საბეჭდავების გაჩენის თარიღის დადგენა ჭირს. უძველესი მონაცემი, რომელიც ამ სახის მასალას შეიძლება დაუკავშირდეს, არუხლოს ნეოლითური ნამოსახლარის ზედა ფენაში აღმოჩენილი თიხის ბულაა, რომელზეც მრგვალი შტამპური საბეჭდავის სამი ანაბეჭდია დატანილი. ერთ-ერთზე გამოსახულია ირემი და მტაცებელი ცხოველი. აღნიშნული მხატვრული მოტივი დიდ მსგავსებას იჩენს სამხრეთ მესოპოტამიაში, ირანსა და სირიაში აღმოჩენილი ხელოვნების ნიმუშებზე მოცემულ სიუჟეტებთან, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს [Чубинишвили, 1971: 38, ტაბ. XI/1, 3, XII/3].

სამხრეთ კავკასიაში საბეჭდავები ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდებიან. ღილისებური ფორმის თიხის ორი შტამპური საბეჭდავი ბრტყელი სამუშაო ზედაპირით

(Button-type stamp seal) აზერბაიჯანში, ბეუკ-კესიკის ხალკოლითური ეპოქის ნამოსახლარზე აღმოჩნდა. ორივეზე რქოსანი ცხოველის გამოსახულებაა მოცემული. მათ ახლო პარალელებს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, კერძოდ, თეფე გავრას XII-X ფენებში აღმოჩენილი საბეჭდავები წარმოადგენენ [Ахундов ..., 2008: 59-60, таб. XX/2-3]. მსგავსი არტეფაქტები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ირანის ნეოლითური ხანის ძეგლებზეც [Cool Root, 2005c: 54].

სამხრეთ კავკასიაში ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე უკვე სხვა ტიპის საბეჭდავი ვრცელდება. სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დღეისათვის მხოლოდ შტამპური და კონუსური საბეჭდავებია აღმოჩენილი. ამავე კულტურის ძეგლებზე კი, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ფარგლებს გარეთ მდებარეობს, ცილინდრული საბეჭდავებიც გვხვდება (პულური, ჰან იბრაჰიმ შაჰი [Ertem, 1972: 24; Koşay, 1976: 110, სურ. 1063], რაც ამ ტიპის საბეჭდავების სამხრეთ კავკასიაში შესაძლო გავრცელებასაც გვავარაუდებინებს.

სამხრეთ კავკასიური შტამპური საბეჭდავები ორი ტიპისაა: მრგვალფუძიანი (3 ც.) და მართკუთხაფუძიანი (1 ც.).

მრგვალფუძიანი შტამპური საბეჭდავები აღმოჩნდა:

1. არანისი (ტაბ. III/1). საბეჭდავი აღმოჩნდა არაგვის ხეობაში, ქვემო არანისის (ახალი ჟინვალი), მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება [ღლონტი, 2006: 54]. იგი აღმოჩნდა № 7 "ორმო-სათავსოში", რომლის დიამეტრი 2 მეტრია. მისი იატაკი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0, 4 მ. სიღრმეზე დადასტურდა და დაფარული იყო ლასტის ანაბეჭდიანი ალიზის ნატეხებით. სათავსოს იატაკზე ხელსაფქვავის ქვებისგან გამართული კერა დაფიქსირდა. იქვე აღმოჩნდა ორმოცდაცხრა დიდი და პატარა ზომის თიხის ჭურჭელი (კოჭობები, ფიალები, ღრუქუსლიანი "ვაზები" და სხვ.). მათ შორის იყო მცირე ზომის ცხრამეტი მთელი ერთეული, რომელთა უმეტესობა შევსებული იყო ქერით (Hordeum distichtum). ერთ ქოთანში მოთავსებული იყო წითელი საღებავი [ღლონტი, 1985: 22].

"ორმო-სათავსოში" ასევე აღმოჩნდა თიხის სადგარი და საბეჭდავი. ეს უკანასკნელი მოყავისფრო თიხისაა, ზედაპირი გაპრიალებულია. მისი სიმაღლე სახელურთან ერთად 7 სმ-ია, ფუძის დიამეტრიც 7 სმ-ს უდრის. სამუშაო პირი მრგვალია, გამოსახულება წარმოადგენს მაღალრელიეფურად გამოყვანილ სამ კონცენტრულ წრეს, რომლებიც ერთმანეთშია ჩასმული [ღლონტი, 2006: ტაბ. VII].

2. თალინი (ტაბ. II/3). თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა თანმედროვე სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქ. თალინთან. საბეჭდავი დადასტურდა ადრებრინჯაოს ხანის საკულტო მოედანზე, რომელიც იგივე პერიოდის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

მოედანი გამოვლინდა 1,5 მ. სიმაღლის და 23 მ. დიამეტრის ხელოვნური ბორცვის ქვეშ. ის წარმოადგენდა ორი ერთმანეთის პარალელურად განლაგებული მართკუთხა ფორმის პლატფორმას, რომლის კედლები ქვით იყო ნაგები. კედლების სიმაღლე 0,6 - 0,7 მ. აღწევდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პლატფორმას (4,8 მ. X 10 მ.) ქვის იატაკი ჰქონდა, ჩრდილო-დასავლეთით განლაგებულ პლატფორმის (5,9 მ X 9 მ.) იატაკი კი მიწისა იყო. მათ შორის თიხის მართკუთხა დერეფანი იყო გამართული. საკულტო

მოედანი მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება და დათარიღების C 14 მეთოდის მიხედვით ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Badalyan ..., 2007: 243; Avetisyan ..., 2010: 161-163].

საკულტო მოედანზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ცხოველების რელიეფური გამოსახულებით, კაჟის შუბისპირი და თიხის საბეჭდავი [Badalyan ..., 2007: 244-245, pl. III; Avetisyan ..., 2010: 163, fig. 3/6-9, 17]. საბეჭდავის სიმაღლე 2 სმ-ს უდრის, ფუძის დიამეტრი 4 სმ-ია. მასზე შევრონებიანი ჯვარია გამოსახული [Badalyan ..., 2007: pl. III/12; Avetisyan ..., 2010: 163, fig. 3/6].

3. ყაღჩაღბიური (ტაბ. II/1-2). საბეჭდავი აღმოჩნდა ყაღჩაღბიურის (სომხეთი) მტკვარ-არაქსის პერიოდის სამარხში (ინფორმაცია და საბეჭდავის ჩანახატი მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა რ. ბადალიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ). საბეჭდავი თალინის საბეჭდავის მსგავსი შევრონებიანი ჯვრის გამოსახულებით არის შემკული. საბეჭდავს აქვს მარყუჟი და, როგორც ჩანს, ის გულსაკიდის ფუნქციასაც ასრულებდა.

მართკუთხაფუძიანი შტამპური საბეჭდავი აღმოჩნდა:

1. გრაკლიანი (ტაბ. III/2-3). საბეჭდავი აღმოჩნდა გრაკლიანი გორის მრავალფენიან ნამოსახლარზე, რომელიც მდებარეობს კასპის რაიონის სოფ. იგოეთისა და სოფ. სამთავისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე აღმართულ ბორცვზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მარჯვენა მხარეს. 2008 წელს გამოვლინდა ძვ. წ. 1100-900 წწ. დათარიღებული საკურთხეველი, რომელთანაც აღმოჩნდა ორი საბეჭდავი. ერთი მათგანი კონუსურია, მეორე კი შტამპური. შტამპური საბეჭდავი დამზადებულია ღია ფერის, მოთეთრო ქვიშაქვისაგან. წრიული მარყუჟი მართკუთხა ზედაპირზეა ამოყვანილი. საბეჭდავის სიმაღლე 3,2 სმ, მარყუჟის სიმაღლე – 2,2 სმ, ხოლო სამუშაო ზედაპირი – 3,6 სმ X 3,4 სმ-ია. სამუშაო ზედაპირზე სხივებიანი მართკუთხედი - "გასხივოსნებული ღმერთის სახლია" გამოსახულია, რომელშიც ორი ფიგურა, სავარუდოდ თევზები ჩანს [Личели ..., 2010: 182-183]. მიუხედავად იმისა, რომ საბეჭდავი ნაყარ, დაზიანებულ ფენაში აღმოჩნდა, მას ანალოგები ასევე ჯემდეთ-ნასრის პერიოდის მესოპოტამიაში ეძებნება და, ამდენად, შესაძლოა ძვ. წ. 3000-2800 წწ. დათარიღდეს [ლიჩელი, 2010: 28-29, სურ. 6; ლიჩელი, 2011].

კონუსური საბეჭდავები აღმოჩნდა:

1. გუდაბერტყა (ტაბ. IV-V). საბეჭდავი აღმოჩნდა გუდაბერტყას ნამოსახლარის მტკვარ-არაქსის კულტურის ფენებში. ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გორიდან 7 კმ-ის დაცილებით, კვერნაკების მთის ფერდობზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მარცხენა მხარეს. დღეისათვის გამოვლენილია ექვსი სხვადასხვა დროის კულტურული ფენა. მათგან უძველესია ადრე ბრინჯაოს ხანის ფენა, რომელსაც ს. ნადიმაშვილი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი მეოთხედით [ნადიმაშვილი, 1963: 148-152], გ. მინდიაშვილი კი ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ [მინდიაშვილი, 2010: 103]. ამავე ფენაში გაითხარა სარ-ლასტით ნაგები კომპლექსი, რომელშიც შედიოდა ერთი კუთხეებმომრგვალებული ნაგებობა. მისი კედლები პოლიქრომული მხატვრობით იყო შემკული [ამირანაშვილი ..., 1961: 18-19]. „ნაგებობათა ფრაგმენტებმა შემოგვინახეს

კედლის პოლიქრომიული, პრიმიტიული მხატვრობის ნიმუშები, სხვადასხვა ზომის ფრიზების სახით. მასალად გამოყენებულია ბუნებრივი საღებავები: რკინის ზეჟანგი, სურინჯი, მარგანეცის ზეჟანგი, თეთრი კაოლინი“ [ნადიმაშვილი, 1963: 148-152]. ამ აღმოჩენამ საშუალება მისცა ძეგლის გამთხრელს, ს. ნადიმაშვილს გამოეთქვა ვარაუდი, რომ ნაგებობა სამლოცველოს წარმოადგენდა. თიხის კერებთან ჯიხვის ორი და ხარის ერთი რქის მორჩი იყო დაწყობილი. “რამდენიმე ფენისგან შემდგარი, მოტკეპნილი იატაკის ქვეშ სხვადასხვა პურეული კულტურების მარცვლები იყო დაფენილი, რომელიც დანახშირებული სახით შემოინახა” [ნადიმაშვილი, 1963: 148-152]. მათ შორის იყო ჭვავის ერთი ჯიში, ქერის ორი სახეობა და ღომი [ნადიმაშვილი, 1963: 148-152]. აქვე აღმოჩნდა მამაკაცის, ხარის, ძაღლის და ცხვრის თიხის რამდენიმე ქანდაკება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „საგვარეულო უფლების გამომხატველი ბეჭდები (პინტადერი). ერთ-ერთ მათგანზე მოცემულია სამკუთხედებისა და ირმის სქემატური გამოსახულება, აყვავებული რქებით, რაც მზის ღვთაების ორმაგ სიმბოლურ გამოსახულებას გადმოგვცემს“ [ნადიმაშვილი, 1963: 148-152]. ეს საბეჭდავი ნაპოვნი იყო IV ფენის № 3 თხრილში. მისი სიმაღლე 6,4 სმ-ია, ფუძის დიამეტრი - 3,8 სმ-ს უდრის. ზედაპირი გაპრიალებულია. წვერზე ამოკვეთილია ბორჯღალი, რომლის ერთ-ერთი სხივი ოთხფეხა ცხოველის (ირემი ?) თავს უერთდება და, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცხოველის თავზე სხივებიანი მზე დევს. საბეჭდავის ზედაპირი ხუთ ჰორიზონტალურ ნაწილად არის დაყოფილი. ზედა სარტყელში კიდევ ერთი ცხოველის სქემატური გამოსახულება და ბადეა ჩახაზული. დანარჩენში კი – სამკუთხედები. საბეჭდავის ფუძე ამოღრმავებულია. ზედაპირი შუაში გახვრეტილია. ნახვრეტის დიამეტრი 0,9 სმ-ია. მ. ლორთქიფანიძის აზრით, კონუსი შესაძლოა ინსიგნიას წარმოადგენდა [ლორთქიფანიძე, 1969: 70]. საბეჭდავი ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (საველე № 89).

2. გრაკლიანი (ტაბ. VI). საბეჭდავი აღმოჩნდა გრაკლიანი გორის მრავალფენიანი ნამოსახლარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საკურთხეველთან, შტამპურ საბეჭდავთან ერთად (იხ. ზევით).

დამზადებულია ღია ფერის, კარგად განლექილი თიხისაგან. მისი სიმაღლე - 5,2 სმ-ია, ძირის დმ - 2,8 სმ., ხოლო ზედა სიბრტყის დმ - 1,6 სმ-ია. საბეჭდავის ზედაპირი გეომეტრიული მოტივებითაა შემკული. მის თავზე ჯვარია გამოსახული, ხოლო პირი ოდნავ ღრუა. ვ. ლიჩელი და ნ. სამსონია ამ საბეჭდავის ანალოგს ჯემდეთ-ნასრის სტილის IV ჯგუფის საბეჭდავებთან ხედავენ. მათი ვარაუდით, ეს საბეჭდავი მესოპოტამიური წარმომავლობისაა და მისი ადრეული თარიღი ეჭვს არ უნდა იწვევდეს [Личели ..., 2010: 183]. ავტორთა აზრით, ის შემდგომ სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, ხოლო მისი მოხვედრა ძვ. წ. 1100-900 წწ. დათარიღებულ ტაძარში ახსნილია იმით, რომ გვიანდელ ტაძრებში ადრეული საბეჭდავების მოხვედრა იმ ეპოქისათვის ტიპიური მოვლენაა [Личели ..., 2010: 183]. ვ. ლიჩელი დასაშვებად მიიჩნევს თანამედროვე ქართლის ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულის მესოპოტამიური საბეჭდავის მოხვედრას, რადგან ”მტკვარ-არაქსის კულტურის არნახულად ვრცელი მასშტაბები ყოველგვარი დაშვების საშუალებას იძლევა” [ლიჩელი, 2010: 28-29, სურ. 6; ლიჩელი, 2011]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრაკლიან გორაზე მტკვარ-არაქსული სამარხიცაა გათხრილი [ლიჩელი, 2010: 25; ლიჩელი, 2011].

3. ბერიკლდეები (ტაბ. VII). მაგარი ჯიშის მოწითალო ქვისაგან (კაჟი?) დამზადებული კონუსური ტიპის საბეჭდავი ბერიკლდეების ნამოსახლარის ბედენური კულტურის ფენაში აღმოჩნდა. ზედაპირზე დიდი და პატარა კონცენტრული წრეებია გამოსახული, ხოლო მომრგვალებულ ფუძეზე, შუაში ერთი წრე, მის ირგვლივ კი ექვსი კონცენტრული წრეა გამოყვანილი [ჯალაბაძე, 1998: ტაბ. X/20]. ანალოგიური ორნამენტით არის შემკული ბედენის № 10 გორასამარხში აღმოჩენილი ლითონის აბჯრის უმბონი [გობეჯიშვილი, 1981: 99, სურ. 39]. ბედენური ხანის სადუღას № 2 ყორღანში ნაპოვნია სამი ოქროს მძივი [დედაბრიშვილი ..., 1984: 58], რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი საბეჭდავად მიიჩნევს [Пилипосян, 1998: 121, таб. 53]. მათი ზედაპირი შემკულია კონცენტრული წრეებით, ხოლო ფუძეზე, რომლის დიამეტრი 2,7 სმ ტოლია, მოცემულია პატარა წერტილებით შესრულებული ორი წრე, რომელთა გარშემო რვა კონცენტრული წრეა გამოსახული [დედაბრიშვილი ..., 1984: ტაბ. XXXI/1-3]. მსგავსი დეკორით არის შემკული ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული შტანდარტის (?) ნაწილი თრიალეთის VI [Куфтин, 1941: таб. XCIX] და ოქროს მრგვალი ფირფიტა XVII ყორღანებიდან [Куфтин, 1941: ტაბ. CIII], აგრეთვე შემთხვევით მოპოვებული ოქროს მედალიონი უზუნლარიდან [Куфтин, 1941: 99, рис. 106]

მეცნიერთა ვარაუდით, წრეში ჩახაზული წრეები მზის ღვთაების - შამაშის სიმბოლოს წარმოადგენდა [Lilyquist, 1994: 19-28]. შვიდი, ან რვა წრით შემკული ოქროს მედალიონები გავრცელებული იყო ძველი ბაბილონური ხანის სირია-მესოპოტამიაში (დილბათი, ებლა, ლარსა). ამ მედალიონების მსგავსი რელიეფური გამოსახულება გვხვდება წნორის I ყორღანში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე [Дедабришвили, 1979: таб. XX/1, XXVIII/1], რომელიც ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის V ყორღანში კი ეს ორნამენტი უკვე მოხატულობის სახით არის წარმოდგენილი [Куфтин, 1941: таб. LXXVIII/1]. როგორც ჩანს, ამ სიმბოლოს – წრეში ჩახაზულ წრეებს, სამხრეთ კავკასიაშიც საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დასკვნა.

როგორც ვხედავთ, სამხრეთ კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე საკმაოდ მცირე რაოდენობის საბეჭდავებია დადასტურებული. გავრცელებულია ორი ტიპის საბეჭდავები: შტამპური (ქვემო არანისი, თალინი, გრაკლიანი) და კონუსური (გუდაბერტყა, გრაკლიანი, ბერიკლდეები).

ქვემო არანისში აღმოჩენილი საბეჭდავი თითქმის ანალოგიურია თანამედროვე თურქეთში, ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარ პულურის III ფენაში ნაპოვნი საბეჭდავისა [Koşay, 1976: pl. 69/353]. ეს ფენა ჰ. კოშეის მიხედვით ძვ. წ. III ათასწლეულის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება [Koşay, 1976: 128-130].

თალინის და ყაღჩაღბიურის საბეჭდავებს ახლო პარალელები ეძებნებათ ირანში. თითქმის ანალოგიური მოტივით შემკული შტამპები აღმოჩენილია სუზა I-ში [Le Breton, 1957: 92, fig. 8/2], ტალ-ი ბაკუნ A-ში [Langsdorff ..., 1942: pl. 81/18; Alizadeh, 1988: 21, pl. I], თეფე გიანში [Cool Root, 2005a: 153, fig. 46], ფარუხაბადში [Cool Root, 2005a: 140, fig. 2],

თეფე გავრაში, თეფე ჰისარში, თეფე ჯაფარაბადში, სეჰ გაბიში [Rempel, 2005: 42-44] და ძვ. წ. 4500 - 3700 წწ. თარიღდებიან [Cool Root, 2005a: 3].

ოთხკუთხა შტამპური საბეჭდავი ანალოგიური გამოსახულებით დადასტურებულია თეფე გიანში [Cool Root, 2005c: 159-160, სურ. 73]. ამავე ძეგლზე აღმოჩენილია აგრეთვე მრგვალი შტამპური საბეჭდავები, რომლებსაც ოდნავ განსხვავებული დიზაინი აქვთ [Cool Root, 2005c: 154, fig. 48, 49].

შტამპურ საბეჭდავებზე დატანილი სწორფრთიანი ჯვრის გამოსახულება, რომლის სექტორებიც შევრონებით არის შევსებული, დომინირებს ჩრდილო-დასავლეთ ირანის და ლურისტანის პროვინციებში. სხვა გეომეტრიულ მოტივებთან შედარებით ის იმდენად ხშირადაა მოცემული, რომ დ. ჰ. კოლდუელმა შემოიღო ტერმინი "ლურისტანული ჯვარი" [Rempel, 2005: 44]. ჯ. რემპელის აზრით, ჯვრის მოტივიანი საბეჭდავების სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მხოლოდ პიროვნების დამადასტურებელი მოწმობას კი არ წარმოადგენენ, არამედ მაღალი სტატუსის დაწესებულებებშიც (ტაძარი, სამლოცველო) გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, შევრონებიანი ჯვრის გამოსახულება სიმბოლური სისტემის ნაწილად იქცა და თავისი ადგილი დაიკავა იმ სფეროში, სადაც კომუნიკაციის საგულდაგულოდ შემუშავებულმა სისტემამ განავითარა სააღრიცხვო მექანიზმი. შესაძლოა, გეომეტრიული მოტივებით შემკული საბეჭდავები ინფორმაციული სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა [Rempel, 2005: 46].

კონუსური საბეჭდავი, რომლის იკონოგრაფია გუდაბერტყას საბეჭდავის გვერდითი ფრიზების მსგავსია, აღმოჩენილია ტალ-ი ბაკუნ A-ში [Langsdorff ..., 1942: pl. 82/5-7]. ამავე ძეგლზე ნაპოვნია აგრეთვე 24 ფრაგმენტი, რომელებზეც ამ საბეჭდავის ანაბეჭდია მოცემული [Langsdorff ..., 1942: 67, pl. 7/12]. სირიაში გათხრილ ადრე ბრინჯაოს ხანის სამლოცველო ტელ ჰაზნაში აღმოჩენილია მსგავსი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცილინდრული საბეჭდავი [Мунчаев ..., 1997: 22-23, рис. 20/4]. ამავე ძეგლზე ნაპოვნია მსგავსი მოტივის ანაბეჭდი [Мунчаев ..., 1997: 22-23, рис. 20/1]. ტელ ჰაზნას სატაძრო კომპლექსის ძირითადი ნაწილი ადრედინასტიურ I-III პერიოდებს ეკუთვნის და ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულით და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება [Мунчаев ..., 1997: 23]. საბეჭდავები თითქმის ანალოგიური მოტივით ნაპოვნია სამხრეთ მესოპოტამიაში, ქიშის ეანათუმას პერიოდის A სამაროვნის სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებიან [Mackay, 1929: 190, pl. XLI/11-12].

ბორჯღალის, ანუ მოკაუჭებულსხივებიანი მზის გამოსახულება საკმაოდ იშვიათია ახლო აღმოსავლეთის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე. ამ ტიპის გამოსახულებით შემკული მოხატული კერამიკა აღმოჩენილია სამხრეთ ირანის და პაკისტანის ძვ. წ. V-IV ათასწლეულებით დათარიღებულ ძეგლებზე: ტალ-ი ბაკუნ A, შაჰი-ტამპი [Mallowan ..., 1935: 5; Langsdorff ..., 1942: pl. 78/28, pl. 79/3, 14].

ბორჯღალის გამოსახულებიანი შტამპური საბეჭდავები სამხრეთ მესოპოტამიაში, ქიშშია, ნაპოვნი და ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Mackay, 1929: 193, pl. XLII/5-7].

აღმოსავლეთ ანატოლიაში ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ვრცელდება ბორჯღალის რელიეფური და მოხატული გამოსახულებებით შემკული კერამიკა. ასეთი

კერამიკა აღმოჩენილია პულურის ნამოსახლარის IX-VII ფენებში (ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედი), სადაც ისინი მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად გვხვდება [Koşay, 1976: pl. 84, 86/2,5-6]. ბორჯღალიანი შტამპური საბეჭდავები უფრო გვიანდელ, პულურის VII ფენაშიც გვხვდება [Koşay, 1976: pl. 88/2-4].

ახლო აღმოსავლეთის ნეოლითური კულტურების მოხატულ კერამიკაზე ფართოდ გავრცელებულია რქოსანი ცხოველების გამოსახულებები რქებს შორის ჩახატული ჯვრებით და სვასტიკებით. გვხვდება აგრეთვე ცხოველების ტანზე კონცენტრული წრეების გამოსახულებები, თუმცა ბორჯღალი იმ ფორმით, როგორიც გუდაბერტყას საბეჭდავზეა, ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. ამ მხრივ საყურადღებოა ქართულ ფოლკლორში დადასტურებული ირმის ეპითეტი "რქაბორჯღალიანი" [სურგულაძე, 2003: 23], რაც ზუსტად შეესატყვისება გუდაბერტყას საბეჭდავზე მოცემული ცხოველის გამოსახულებას.

ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ გეომეტრიული მოტივებით შემკული საბეჭდავები მაღალი სტატუსის მქონე პირების სოციალური აქტივობის მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი შტამპური საბეჭდავის ერთ მხარეს გეომეტრიული მოტივი, ხოლო მეორე მხარეს ზოო ან ანთროპომორფული გამოსახულებაა განთავსებული. მეცნიერთა აზრით, ეს ნიშნავს, რომ ორივე გამოსახულება ერთ კონტექსტშია და ერთი მეორეს ავსებს [Rempel, 2005: 45]. ამგვარი კომპოზიცია გუდაბერტყას საბეჭდავზეც დასტურდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე ტიპის მოტივი გარკვეული პირის, თუ ინსტიტუციის საჭიროებებს ემსახურებოდა და გამოიყენებოდა ადმინისტრაციულ საქმიანობაში. როგორც ჩანს, გუდაბერტყას საბეჭდავზე მტკვარ-არაქსული საზოგადოების მიერ წარმოდგენილი სამყაროს აგებულებაა მოცემული: ზედა ნაწილში გამოსახულია ზესკნელი – მზის სიმბოლო (ბორჯღალი), რომელიც ცხოველის (ირმის) თავზე, თუ რქებზე დგას, მის ქვემო ადამიანთა საცხოვრისია, რომელიც ბადისებური ორნამენტით და ოთხფეხა ცხოველის გამოსახულებითაა წარმოდგენილი, ხოლო ქვედა ფრიზები ქვესკნელის რამდენიმე დონეს ასახავს.

ბადისებური, ან ჭადრაკისებური ორნამენტი ხშირად გამოისახება პრეისტორიული ხანის კერამიკასა და გლიპტიკაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეს მოტივი კულტივირებულ, კონტროლირებულ და დანაწილებულ მიწას აღნიშნავდა, ხოლო ღრმა წერტილს (გუდაბერტყა, გრაკლიანი) რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც ზოგჯერ დიდ რაოდენობასაც აღნიშნავდა [Cool Root, 2005b: 56-58].

ძველ აღმოსავლეთში საბეჭდავებს ხშირად უკეთდებოდა ნახვრეტი და ადამიანები მათ თოკზე, ან ძაფზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ საბეჭდავი და მასზე მოცემული გამოსახულება მაგიურ თილისმას წარმოადგენდა, რომელიც ადამიანს იცავდა ავადმყოფობისაგან, სხვადასხვაგვარი საშიშროებისაგან და მოჰქონდა სიკეთე, დოვლათი და ბედნიერება [Cool Root, 2005a: 6]. სამხრეთ კავკასიაში გამოვლენილ საბეჭდავების ნაწილი გახვრეტილია (გუდაბერტყა, ბერიკლდეები, გრაკლიანი), ან აქვს მარყუჟი (გრაკლიანი, ყარჩაღბლური, თალინი), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მათ გარკვეული პირები მუდმივად თან ატარებდნენ და სხეულზე ჰქონდათ ჩამოკიდებული.

სამხრეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა საბეჭდავი სარიტუალო ადგილებშია აღმოჩენილი, რაც მათ ღრმა საკრალურობასა და საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს.

Nino Shanshashvili
Zviad Sherazadishvili

Earliest Seals of South Caucasus

Sumarry

On the Near Eastern sites, stamp seals are appearing from the 7th millennium B. C. The earliest seals were made from stone and clay. In Near East, seals have multifunctional purpose. Often, they presented prestige, status and the emblem of the social role of the person. It was marker of individual and group identity. After forming of administrative apparatus, seal became administrative instrument for sealing the storage or goods.

In the South Caucasus seals are appearing from the beginning of the 4th millennium B. C. Button shape two clay seals with flattened surface were found in Azerbaijan, on Chalcholithic settlement Beuk-Kesik. From the end of the 4th millennium B. C., in the South Caucasus on the sites of Early Bronze Age Kura-Araxses Culture started spreading different type of seal. For nowadays in the South Caucasus, on the sites of Early Bronze Age Kura-Araxses Culture (4th-3rd mill. B. C.) only ~~Button type~~ stamp seal and conical seals are discovered. There are two types of South Caucasian Stamp seals: round based (3) and square based (1). Round based seals are found in: Kvemo Arenisi, Grakliani, Kaghchaghbiur and Talin. Square based seal was discovered in Grakliani. Conical seals were found in Gudabertka, Grakliani and Berikldeebi.

All South Caucasian Early Bronze Age seals were discovered in cult places. This fact indicates their cult and ritual meaning.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირანაშვილი შ., ნადიმაშვილი ს. 1961.

შიდა ქართლის უძველესი ნასოფლარის "გუდაბერტყა-ციხიაგორას" ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1956 და 1960 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. - საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1981.

ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1984.

სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის № 2 გორასამარხი.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI. გვ. 56-63. თბილისი.

ლიჩელი ვ. 2010.

კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში (გრაკლიანი გორა).

თბილისის სახემწიფო სამხატვრო აკადემიის ჟურნალი "ACADEMIA", № 1.

http://art.edu.ge/wp-content/uploads/2011/06/V_Licheli.pdf

ლიჩელი ვ. 2011.

კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში (გრაკლიანი გორა).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი", № 3.

http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21

ლორთქიფანიძე მ. 1969.

ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. თბილისი.

მინდიაშვილი გ. 2010.

სიახლეები გუდაბერტყის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდან.

კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესის მასალები, გვ. 103-105. თბილისი.

ნადიმაშვილი ს. 1963.

გუდაბერტყა-ციხიაგორა.

ჟურნალი "ლიახვი". 148-152. გორი.

სურგულაძე ი. 2003.

მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი.

ღლონტი მ. 1985.

ახალი ჟინვალის თიხის საბეჭდავი.

არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები), გვ. 22-25. თბილისი.

ღლონტი მ. 2006.

რელიეფურორნამენტიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან.

ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 17-18, გვ. 51-61. თბილისი.

ჯალაბაძე მ. 1998.
ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
Alizadeh A. 1988.
Socio-Economic complexity in Southwestern Iran during the Fifth and Forth Millennia B.C.: The Evidence from Tall-i Bakun A.
Iran, vol. 26, pp. *17-34.*
Avetisyan P., Muradyan F., Sargsyan G. 2010.
Early Bronze Age burial mounds at Talin.
Von Majkop bis Trialeti. Gewinnung und Verbreitung von Metallen und Obsidian in Kaukasien im 4. – 2. Jt.v. Chr. Beiträge des Internationalen Symposiums in Berlin vom 1.-3. Juni 2006 (Herausgegeben von S. Hansen, A. Hauptmann, I. Motzenbäcker, E. Pernicka). S, 161-165. Bonn.
Badalyan R., Avetisyan P. 2007.
Bronze and Early Iron Age Archaeological Sities in Armenia, I, Mt. Aragats and its Surrounding Region.
BAR International Series 1697, Oxford.
Cool Root M. 2005 A.
This fertile land.
This fertile land. Signs and symbols in the early arts of Iran and Iraq (Ed. by M. Cool Root), pp. 3-11. Chicago.
Cool Root M. 2005 B.
Systems of symbolic expression.
This fertile land. Signs and symbols in the early arts of Iran and Iraq (Ed. by M. Cool Root), pp. 47- 64. Chicago.
Cool Root M. 2005 C.
Catalogue of artifacts, didactics, and images in the exhibition.
This fertile land. Signs and symbols in the early arts of Iran and Iraq (Ed. by M. Cool Root), pp. 139-172. Chicago.
Ertem H. 1972.
Han Ibrahim Sah, 1971.
Recent Archaeological Research in Turkey. Anatolian Study, vol. 22, pp. 22-25.
Koşay H. 1976.
Keban Project. Pulur Excavations 1968-1970. Ankara
Langsdorff A., McCown D. E. 1942.
Tall-i Bakun A, Season of 1932.
Oriental Institute Publications 59, Chicago: University of Chicago Press.

Le Breton L. 1957.
The early periods at Susa, Mesopotamian relation.
Iraq, XIX, pp. 79-124.
Lilyquist C. 1994.
The Dilbat Hoard.
Metropolitan Museum Journal, vol. 29, pp. 5-36.
Mackay E. 1929.
A sumerian palace and the "A" cemetery at Kish, Mesopotamia. Part II.- Anthropology, Memoires, vol. I, N 2. Chicago.
Mallowan M.E.L., Cruikshank Rose J. 1935.
Excavation at Tall Arpachiyah, 1933.
Iraq, Vol. 2. N 1, pp. 1-178.
Rempel J. 2005.
The Chevron-filled cross and early communicative systems.
This fertile land. Signs and symbols in the early arts of Iran and Iraq (Ed. by M. Cool Root), pp. 37-46. Chicago.
Ахундов Т., Махмудова В. 2008.
Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н.э. Баку.
Дедабришвили Ш. 1979.
Курганы Алазанской долины. Тбилиси.
Куфтин Б. 1941.
Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
Личели В., Самсония Н. 2010.
Месопотамские печати из поселения Граклиани.
Археология, этнология, фольклористика Кавказа, стр. 182-183. Тбилиси.
Мунчаев Р., Мерперт Н. 1997.
Древнейший культовый центр в долине Хабура.
Российская археология № 2, стр. 5-27.
Пилипосян А. 1998.
Печати Армянского нагорья в системе древневосточной глиптики (на арм. яз.). Ереван.
Чубинишвили Т. 1971.
К древней истории Южного Кавказа. Тбилиси.





1

2

შტამპური საბეჭდავები:
1-2. ბეიუკ-კესიკი, ჩანახატი
[Ахундов, Махмудова, 2008: ტაბ. XX/2-3 მიხედვით].

Button-type stamp seal:
1-2. Beiuk-kesik, drawing
[According to Akhundov, Makhmudova, 2008: pl. XX/2-3].

1



2



3

შტამპური საბეჭდავები:
1-2. ყაღჩაღბიური. ჩანახატი და ფოტო (მოგვაწოდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა
რ. ბადალიანმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).
3. თალინი. ჩანახატი [Badalyan, Avetisyan, 2007: 245, ტაბ. III-12;
Avetisyan ... 2010: 163, სურ. 3-6 მიხედვით].
Button-type stamp seals:

1-2. Kaghchaghbiur. Drawing and photo (Provided by Dr. of Historical Sciences Ruben Badalyan, for which we are very grateful to him).
3. Talin. Drawing
[According to Badalyan, Avetisyan, 2007: 245, pl. III-12; Avetisyan ... 2010: 163, fig. 3-6].



1

2



3

შტამპური საბეჭდავები:
1. ქვემო არანისი (ახალი ჟინვალი).
ჩანახატი
[ღლონტი, 2006: ტაბ. VII მიხედვით].
2-3. გრაკლიანი გორა.
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21

~~Button-type~~ stamp seals:
1. Qvemo aranisi (Akhali Zhinvali).
Drawing.
[According to Ghlonti, 2006: pl. VII].
2-3. Grakliani Gora
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21



1

2

3

4

5

6

7

გუდაბერტყას კონუსური ტიპის საბეჭდავი (საბეჭდავის გამოქვეყნების უფლებისთვის მადლობას ვუხდით გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს).
1. ფუძის ფოტო.
2-3. ზედა ნაწილის დეტალის ფოტო.
4-7. საბეჭდავის ფოტო.

Conical type seal from Gudabertka (For permition to publish the seal we are very grateful to Gori Historical-Ethnographical Museum).
1. Base.
2-3. Deatal of the upper part.
4-7. Photo of the Seal.



გუდაბერტყას კონუსური ტიპის საბეჭდავი:
1-3. დეტალების ჩანახატი.
4. გაშლილი ჩანახატი.
5-9. საბეჭდავის ჩანახატი.
10. ჭრილი.

Conical type seal from Gudabertka:
1-3. Drawing of the details.
4. Expanded drawing.
5-9. Seal drwaing.
10. Cross section.



1



2



3

4

კონუსური საბეჭდავები:
1-3. გრაკლიანი გორა. საბეჭდავის ფოტო, ზედა ნაწილის და ფუძის ფოტო. ჭრილი
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21
4. გრაკლიანი გორა. საბეჭდავის ანაბეჭდი
[Личели, Самсония, 2010: 183 მიხედვით].

Conical Seals:
1-3. Grakliani Gora. Photo of the seal, image of the upper part and base, cross section.
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21
4. Grakliani Gora. Seal print
[According to Licheli, Samsonia, 2010: 183].

1



2



3

4

კონუსური საბეჭდავები:
1-2. ბერიკლდეები. ანაბეჭდის ჩანახატი, საბეჭდავის ჩანახატი და ჭრილი [ჯალაბაძე, 1998: ტაბ. X/20 მიხედვით].
3. ბერიკლდეები. ფოტო (მოგვაწოდა დოქტორმა მ. ჯალაბაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.
4. ბერიკლდეების საბეჭდავის ანაბეჭდის ფოტო მოგვაწოდა დოქტორმა მ. ჯალაბაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).

Conical Seals:
1-2. Berikldeebi. Print image. seal drawing and cross section
[According to Jalabadze, 1998: pl. X/20]
3. Berikldeebi. Photo
(Provided by Dr. Mindia Jalabadze, for which we are very grateful to him)
4. Photo of the Berikldeebi seal print.
(Provided by Dr. Mindia Jalabadze, for which we are very grateful to him)